საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია

2018 ივნისი

NEWSLETTER #3

ასოციაციის მიმდინარე პროექტები

პროექტი: „მუნიციპალიტეტების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობასა და ოჯახების მოწყვლადობაზე რეაგირებისათვის აჭარაში“

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით აჭარის რეგიონში ახორციელებს ახალ პროექტს, რომლის მიზანია: ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის სოციალური სამუშაო ძალის უნარებისა და ცოდნის განვითარებას, რათა მოახდინონ ბავშვთა ძალადობის შემთხვევებზე და რეგიონში მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერაზე დროული რეაგირება. ასევე გააძლიეროს თანამშრომლობა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, განსაკუთრებით კი მუნიციპალიტეტის თანამშრომლებსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს (ძირითადად სოციალური მუშაკებისა და მეურვეობა-მზრუნველობის რეგიონულ საბჭოს) თანამშრომლებს შორის.
პროექტის ფარგლებში ხელი შეეწყობა ძლიერი და მდგრადი კავშირის განვითარებას ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შორის (მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, ბაღები და სკოლები, ჯანდაცვის სპეციალისტები, პოლიცია და სხვა შესაბამისი უწყებები) და მათი მგრძნობელობის გაზრდას ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახის მოწყვლადობის საკითხების მიმართ.

პროექტი: „ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ეფექტიანი მმართველობისათვის“

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს, „ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ეფექტიანი მმართველობისათვის“

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში კარგი მმართველობის, ანგარიშვალდებულების და ინკლუზიური საჯარო პოლიტიკის ფორმირებას, რომელიც მოიცავს ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე.

პროექტის ამოცანებია არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა ადვოკატირებასა და მონაწილეობითი ბიუჯეტის შემუშავებასა და მონიტორინგში, ასევე, მონაწილეობითი პოლიტიკის და გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკის განვითარების მიზნით ადგილობრივ თვითმმართველობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის გაღრმავება.არასამთავრობო ორგანიზაციების და ადგილობრივი თვითმმართველობების ხელშეწყობა, განავითარონ ხელმისაწვდომი და თემის საჭიროებაზე მორგებული სოციალური მომსახურებები. არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და კერძო სექტორს შორის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის და მოხალისეობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება.

ასოციაციის მიმდინარე პროექტები

პროექტი: თანამშრომლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართულობის მხარდამჭერი ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირებისათვის აჭარაში

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ფონდი ღია საზოგადოება - OSI მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს, „თანამშრომლობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩართულობის მხარდამჭერი ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირებისათვის აჭარაში“.

პროექტის მიზანია,აჭარაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანამშრომლობითი პოლიტიკის ფორმირების მხარდაჭერა ადგილობრივი მთავრობის და სამოქალაქო ორგანიზაციების მობილიზების გზით.

პროექტის ამოცანებიააჭარის მუნიციპალური მთავრობის გაძლიერება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეფექტური პოლიტიკის შემუშავებაში რეგიონალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერება. სოციალური მუშაობის მხარდაჭერა პირველადი ჯანდაცვის სფეროში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების, უფლებებისა და პოტენციალის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

პროექტი: „მობილური მულტიდისციპლინური გუნდის შექმნა შსს-ს შემადგენლობაში შემავალი დროებითი დაკავების იზოლატორებისთვის“.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს, „მობილური მულტიდისციპლინური გუნდის შექმნა შსს-ს შემადგენლობაში შემავალი დროებითი დაკავების იზოლატორებისთვის“.

პროექტის მიზანია წინასწარი დაკავების იზოლატორებში მობილური მულტიდისციპლინური გუნდის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და/ან ფსიქიატრი, საჭიროებიდან გამომდინარე. ადგილზე პირველადი ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერის გაწევა ბენეფიციარებისთვის.
პროექტის ამოცანებია:
--- საჭიროებების შეფასება;
--- მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის მეთოდოლოგიის, ინსტრუმენტების, გზამკვლევების, ხარისხის შეფასების ინსტრუმენტის შექმნა;
--- მულტიდისციპლინური გუნდის ჩამოყალიბებაში მხარდაჭერა;
--- პილოტირების ფაზის სუპერვიზია;
--- ტრენინგ-პროგრამის განვითარება და მულტიდისციპლინური გუნდისა და მონიტორინგის ჯგუფის გადამზადება.

ასოციაციის მიმდინარე პროექტები

პროექტი : „საქართველოს პრობაციისა და პენიტენციურ სისტემებში ფსიქო-სოციალური მუშაობის კომპონენტის ხარისხის გაზომვის მექანიზმების გაძლიერება“

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით ახორციელებს პროექტს, „საქართველოს პრობაციისა და პენიტენციურ სისტემებში ფსიქო-სოციალური მუშაობის კომპონენტის ხარისხის გაზომვის მექანიზმების გაძლიერება“.

პროექტის მიზანია ტექნიკური დახმარების გაწევა პრობაციისა და პენიტენციური სისტემებისთვის ფსიქო-სოციალური მუშაობის კომპონენტის ხარისხის გაზომვის მექანიზმების დასანერგად.

პროექტის ამოცანებიაპრობაციისა და პენიტენციური სისტემების ფსიქო-სოციალური (სარეაბილიტაციო) მუშაობის კომპონენტის შესახებ საჭიროებების შეფასება. გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ხარისხის გაზომვის მექანიზმების გასაძლიერებლად რეკომენდაციების და კონცეფციის შემუშავება, მათ შორის, შემთხვევების რაოდენობის, ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და პროფესიონალთა სუპერვიზიის გაძლიერების მიმართულებით. ხარისხის გაზომვისთვის შესაბამისი მეთოდოლოგიის, ინსტრუმენტებისა და გზამკვლევების შემუშავება.ტრენინგ პაკეტის შემუშავება და პროფესიონალთა ჯგუფის გადამზადება გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად. ასევე, პილოტირების ფაზაში პროცესის ზედამხედველობის გაწევა.

„კანონი სოციალური მუშაობის შესახებ“

საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ არის ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სოციალური მუშაობის ძირითად პრინციპებს, სოციალური მუშაკის სამართლებრივ სტატუსსა და სოციალურ გარანტიებს, ადგენს მის ფუნქციებს, უფლებებსა და მოვალეობებს, აწესრიგებს სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა სფეროს ყველა სოციალური მუშაკი უნდა ოპერირებდეს ამ ჩარჩოს ფარგლებში, მიუხედავად იმისა თუ რომელ სექტორშია ის დასაქმებული, რადგან კანონის დებულებები ვრცელდება როგორც საჯარო სექტორში, ასევე კერძო სექტორში დასაქმებულ პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებსა და მათ ზედამხედველებზე.

კანონი ცდილობს მხარი დაუჭიროს სოციალურ მუშაკს პროფესიულ მოვალეობების აღსრულებაში, აღმოფხვრას სფეროში არსებული ხარვეზები და საფუძველი ჩაუყაროს პროფესიის სამომავლო განვითარებას ახალ დარგებსა და დონეზე. კანონი არეგულირებს ყველაზე მთავარს - პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი ხდება პირი, რომელსაც აქვს საბაზისო პროფესიული განათლება მაინც. კანონი გვაცნობს სერთიფიცირების პროცესს, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა ის პირი, რომელსაც არ აქვს უმაღლესი განათლება სოციალურ მუშაობაში ან სერტიფიკატთან გათანაბრებულია დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს 2006-2013 წლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს 60 კრედიტიანი სოციალური მუშაობის სასწავლო კურსის წარმატებით გავლას, ვალდებულია შეიძინოს სოციალური მუშაობის ბაზისური აკადემიური ცოდნა და ჩააბაროს სერტიფიცირების გამოცდა. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, ის ადასტურებს იმას, რომ აქვს საბაზისო ცოდნა სპეციალობაში და უფლება ეძლევა აღასრულოს სოციალური მუშაობის პრაქტიკა.

კანონი წარმოადგენს სოციალური მუშაობის დარგობრივ ფუნქციებს ბავშვთა კეთილდღეობის, მართლმსაჯულების, ზოგადსაგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში, თუმცა ამ ჩამონათვალით კანონი არ ზღუდავს სხვა სფეროებში პროფესიის განვითარებას.

კანონი წარმოადგენს სოციალური მუშაკისა უფლებებს და მოვალეობებს, მაგრამ ამასთანავე ხაზს უსვამს მისი დამქირავებლის ვალდებულებებს. ის ხაზს უსვამს პროფესიული სუპერვიზიის აუცილებლობას, უწყვეტი პროფესიული განათლების ვალდებულებას სოციალური მუშაკისათვის და ამ ვალდებულების აღსრულებაში ხელშეწყობის აუცილებლობას დამქირავებლის მხრიდან.

კანონი საუბრობს პრევენციულ სოციალურ მუშაობაზე, რაც მნიშვნელოვანი ასპექტია სოციალური პრობლემების დაძლევისათვის. სამწუხაროდ, დღეს სოციალური მუშაკი საველე სამუშაოს ვერ ახორციელებს, მხოლოდ მომართვაზე რეაგირების რეჟიმშია. კანონის მიხედვით კი, მას ექნება საშუალება საველე სამუშაოები განახორციელოს ე.ი. პროაქტიულად მოახდინოს ჩარევა.

კანონს შემოაქვს მუნიციპალური სოციალური მუშაობის განვითარების პერსპექტივა. რაც ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივ დონეზე გაჩნდება სოციალური მუშაკი, რომელიც ადგილობრივ დონეზე იმუშავებს სხვადასხვა საკითხზე, იმის მიხედვით თუ რა კონცეპტუალური ხედვა მომზადდება.

რაც შეეხება სოციალურ მუშაკთა შრომის პირობებსა და სოციალური დაცვის გარანტიებს, კანონმა "სოციალური მუშაობის შესახებ" გაითვალისწინა სოციალური მუშაკისათვის უსაფრთხო და აუცილებელი სამუშაო პირობების შექმნის, მათ შორის უსაფრთხო სამუშაო პირობებისა და აუცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის ვალდებულება, დაწესებულების რესურსის გათვალისწინებით. კანონმა დამოუკიდებელ პირობად გამოყო დასაქმებულის ვალდებულება გამოუყოს სოციალურ მუშაკს კონსულტირებისთვის აუცილებელი სივრცე და სამუშაო ადგილი, ასევე შექმნას სოციალური მუშაკთა მიმართ თანაბარი და სამართლიანი მოპყრობის, შრომის პირობების, ანაზღაურებისა და სამართლებრივი დაცვის გარანტიები.

კანონის მიხედვით, სოციალური მუშაკისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, დამსაქმებელი ვალდებულია შეიმუშავოს და დანერგოს სოციალური მუშაობის უსაფრთხოების წესი სამუშაო პროცესში არსებული საფრთხის მინიმუმამდე შემცირებისა და სოციალური მუშაკის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. აღნიშნული დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ყველა შესაძლო რისკის წყაროს ანალიზსა და მისი შესაბამისი ზომების მიღების, მათ შორის პრევენციული ზომების გატარების პროცედურასა და წესს.

კანონმა დაადგინა სოციალური მუშაკის სამუშაო და დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებისა და შესრულების წესი, რომელიც დაუკავშირა სოციალური მუშაკის მიმდინარე საქმეთა რაოდენობას. კანონის თანახმად, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება ხდება საქართველოს კანონმდებლობით, რაც კერძო სექტორში დასაქმებული მუშაკისათვის გულისხმობს ანაზღაურებას ხელფასის გაზრდილი ოდენობით, ხოლო საჯარო სექტორში - დანამატისა ან სამუშაოს პროპორციული დამატებითი დასვენების გაცემით.

კანონით ასევე დადგენილია სოციალური მუშაკის დაღუპვის ან შშმ პირად აღიარების შემთხვევაში სოციალური დაცვის გარანტია, რაც მისი ოჯახისათვის ერთჯერადი 10 000 ლარიანი დახმარების გაცემით შემოიფარგლება. ამას გარდა, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას სოციალური მუშაკის შშმ პირად გახდომის შემთხვევაში გაიცემა ერთჯერადი დახმარება 5 000 ლარის ოდენობით. ორივე სახის დახმარება გაიცემა სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, სოციალური მუშაკის დასაქმების ადგილის მიუხედავად.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია - GASW

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი - EMC

პროფესია, რომელიც ჩემშია

ნათია მაჭარაშვილი სოციალური მუშაკია. იგი „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის“ გუნდის წევრია.

ნათია იხსენებს, რომ საკუთარ თავს სოციალური მუშაობის პროფესიასთან შეხვედრამდე, სხვადასხვა დარგშიც წარმოიდგენდა, თუმცა ასე ორგანულად მასთან და მის ღირებულებებთან ახლოს მდგომ ვერც ერთ პროფესიაში ვერ ხედავდა საკუთარ თავს.

„ხშირად ვფიქრობ, რა მანიჭებს ბედნიერებას ჩემს საქმიანობაში, ალბათ, ცვლილებები, ადამიანების შესაძლებლობების რწმენა და ჩემი პროფესიის ადამიანებთან ურთიერთობა” – ამბობს ნათია მაჭარაშვილი.

პროექტი- „მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ალტერნატიულ მომსახურებებში პროფესიონალთა გაძლიერება“ 2016 წელს დაიწყო.

მისი თქმით, ამ პროექტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „საქართველოს სოციალურ მუშაკათა ასოციაციის“ ჩართულობა პროფესიული სუპერვიზიის მიმართულებით.

ვიდეოს სანახავად დაკლილეთ აქ

აზარტული თამაშები და მასზე დამოკიდებულება, რა ფორმით უნდა ჩაერთონ სოციალური მუშაკები აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად და რა გამოწვევების წინაშე დგას საზოგადოება. ამ პრობლემატურ საკითხზე „საქართველოს სოციალური მუშაკთა ასოციაციის“ წარმომადგენელი სოფო ბაჩილავა მოგიყვებათ.

ვიდეოს სანახავდ დაკლიკეთ აქ



პროფესია, რომელიც ჩემშია

ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - შორენა საძაგლიშვილი
"პროფესია რომელიც ჩემშია"

"სოციალური მუშაობა ეს არის მეცნიერება, რომელიც მიზნად ისახავს რთული სოციალური პრობლემების შესწავლას"

ვიდეოს სანახავად დაკლიკეთ აქ.

ასოციაცია სამოქალაქო აქტივიზმში

როგორ მიმდინარეობდა „სოციალური მუშაობის შესახებ“ კანონპროექტზე მუშაობის პროცესი. რას ითვასწინებს კანონპროექტი და რა შეიცვლება ძალაში შესვლის შემდგომ პრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისთვის „კანონპროექტში ყველა ჩვენი ძირითადი მოსაზრება ამ ეტაპზე გათვალსიწინებული და ასახულია. მე მიმაჩნია, რომ ამ კანონის ძირითადი ქვაკუთხედი არის ის, რომ ხდება სოციალური მუშაკის ტიტულის დაცვა. კანონი საკმაოდ კომპლექსურია და ბევრ საკითხს მოიცავს“ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე ია შეყრილაძე.

ვიდეოს სანახავად დაკლიკეთ აქ

ასოციაცია სამოქალაქო აქტივიზმში

„საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ“ სოლიდარობა გამოუცხადა თბილისის მეტროპოლიტენის მემანქანეებს და სახელმწიფოს მოუწოდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები მემანქანეების პრობლემების მოსაგვარებლად.
ასოციაცია შეუერთდა მეტროპოლიტენის თანამშრომლების მოთხოვნებს და მიიჩნია, რომ მემანქანეების ანაზღაურების გაზრდის მოთხოვნა სამართლიანია. ამასთანავე, განაცხადა,რომ გაფიცვის და გამოხატვის თავისუფლება არ უნდა იზღუდებოდეს!

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ,12 ივნისს, ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღეს ეხმიანება

ვიდეოს სანახავად დაკლიკეთ აქ.

20 ივნისი ლტოლვილთა საერთაშორისო დღეა, გაეროს მონაცემებით მთელს მსოფლიოში 8, 5 მილიონი ლტოლვილი და 25 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირია აღრიცხული. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში 250 ათასამდე ადამიანი ატარებს დევნილის სტატუსს.

2009 წელს, „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასაოციაციამ“ გორში განახორციელა პროექტი - „სოციალური მუშაკის ინსტიტუტისა და შემთხვევის მართვის სისტემის განვითარება ქალაქ გორში“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოსა და რუსეთს შორის სამხედრო კონფლიქტის შედეგად დაზარალებული დევნილების ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფისა და მათი სოციალური ინტეგრაციის მიზნით დანერგილიყო შემთხვევის მენეჯმენტის სისტემა.

სიუჟეტში მოისმენთ ასოციაციის ბენეფიციარებს, რომლებიც თავიანთ ისტორიას გიამბობენ. დევნილები იხსენებენ, თუ რა დახმარება გაეწიათ აღნიშნული პროექტის მიმდინარეობისას.
პროექტი ერთ-ერთი მაგალითია თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, სხვა და სხვა ორგაზაციებისა და საზოგადოების ჩართულობას დევნილთა ინტეგრაციასა და პრობლემების მოგვარებაში.

ავტორი: სამოქალაქო აქტივისტი და ასოციაციის რეგიონული წარმომადგენელი ბადრი ციქუბაძე

ვიდეოს სანახავად დაკლიკეთ აქ

GASW

newsletter #3 ივლისი

ხულოს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან შეხვედრა

21 მაისს, „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის“ წარმომადგენლებმა ირმა ბებერაშვილმა და მარიამ ბერიძემ ხულოს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან და სპეციალისტებთან შეხვედრა გამართეს თემაზე „ოჯახის მოწყვლადობა“.
შეხვედრაზე განხილულ იყო მოწყვლადობის გამომწვევი მიზეზები და შედეგები, ასევე სპეციფიური მახასიათებლები ხულოს მუნიციპალიტეტისთვის.

„საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით აჭარის რეგიონში ახორციელებს პროექტს, „მუნიციპალიტეტების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისა და ოჯახების მხარდაჭერისთვის აჭარაში“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის სოციალური სამუშაო ძალის უნარებისა და ცოდნის განვითარებას, რათა მოახდინონ ბავშვთა ძალადობის შემთხვევებზე და რეგიონში მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერაზე დროული რეაგირება.

ასევე გააძლიეროს თანამშრომლობა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, განსაკუთრებით კი მუნიციპალიტეტის თანამშრომლებსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს (ძირითადად სოციალური მუშაკებისა და მეურვეობა-მზრუნველობის რეგიონულ საბჭოს) თანამშრომლებს შორის. პროექტის ფარგლებში ხელი შეეწყობა ძლიერი და მდგრადი კავშირის განვითარებას ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შორის (მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, ბაღები და სკოლები, ჯანდაცვის სპეციალისტები, პოლიცია და სხვა შესაბამისი უწყებები) და მათი მგრძნობელობის გაზრდას ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახის მოწყვლადობის საკითხების მიმართ.

ტრენინგი სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მუშაკებისთვის

14 მაისს, „საქართველოს სოციალური მუშაკთა ასოციაციამ“ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მუშაკებისთვის ტრენინგი ჩაატარა, რომლის თემაც „ემოციების მართვის სირთულეების მქონე პირებთან მუშაობა“ იყო. ტრენინგს უძღვებოდა ასოციაციის ტრენერი - ანი ასლანიშვილი.
ტრენინგი მოიცავს ემოციების მართვის სირთულეების მქონე პირებთან და ოჯახებთან მუშაობის პრაქტიკულ და თეორიულ ს

ძირითადი ნაწილი ეთმობა, ემოციების იდენტიფიცირებას, სტრესს და მასთან გამკლავების გზებს, ასევე, ბრაზს და ბრაზის მართვის ტექნიკებს. სწავლება მიმდინაროებს მინი-ლექციების, შემთხვევების განხილვის, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის მეთოდების გამოყენებით.
ტრენინგი 2 ეტაპად ტარდება (14-15 მაისი და 16-17 მაისი) და მასში მონაწილეობას სულ 30 სოციალური მუშაკი მიიღებს.
აღნიშნულ თემატიკაზე აპრილის თვეში ტრენინგი ჩატარდა დასავლეთ საქართველოს პრაქტიკოსი სოციალური მუშაკებისათვისაც.
„საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ მიიჩნევს, რომ აღნიშნული ტრენინგი სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალურ მუშაკებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში დაეხმარება.

ტრენინგი პროექტის - "მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ალტერნატიული მომსახურების გაუმჯობესებისათვის პროფესიონალთა გაძლიერება" - ფარგლებში ტარდება, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ხორციელდება.

სსმა ბლოგი:რა გვემართება, როდესაც ძალადობის მოწმენი ვხდებით

გურანდა თეთრაძე
სოციალური მუშაობის მაგისტრი

1 კვირის წინ იტალიაში ვიყავი ორ მეგობარ სოციალურ მუშაკთან ერთად. უამრავ სასიამოვნო და შთამბეჭდავ მოგონებასთან ერთად, ერთი შოკისმომგვრელი და სამუდამოდ დასამახსოვრებელი საღამოც გამოვიყოლეთ, რომელმაც შვებულების თავდავიწყებას მოგვწყვიტა და ყოველდღიური პროფესიული საქმიანობის საკითხთან დაგვაბრუნა.ძალადობის საკითხებზე ბევრი გვიმუშავია, მოძალადესთანაც გვქონია შეხება და მსხვერპლთანაც, ტრენინგებიც გაგვივლია და იქითაც ჩაგვიტარებია, მაგრამ როდესაც თავად ძალადობის ფაქტის წინაშე დგები, სულ სხვა რეალობაში ხვდები, სადაც შენი სიმამაცეც, ლოგიკაც, აზროვნებისა და ემოციების კონტროლის უნარიც სადღაც ქრება, უფერულდება და შენთან მხოლოდ კანკალი და აჩქარებილი გულისცემა რჩება. ვენეციის გარეუბანში ბინაში ერთი ოთახი გვქონდა ნაქირავები. იმავე სახლში სხვა ტურისტებიც ცხოვრობდნენ. მთელი დღის დაღლილები, სახლში გათიშულები მივედით და მაშინვე დასაძინებლად გავემზადეთ, თუმცა მოპირდაპირე ოთახიდან ბიჭის (სიტყვა "კაცის" ხმარება აქ მორალურად გაუმართლებლად მეჩვენება) ხმამაღალი ლაპარაკი გვიშლიდა ხელს. ავდექი, ვიფიქრე, გავხედავ და ვეტყვი, ცოტა ხმადაბლა ისაუბროს, ხელი გვეშლება-მეთქი. გავიხედე და ოთახის კარი ღია ჰქონდა, სავარძელზე იჯდა და ტელეფონზე ეჩხუბებოდა ვიღაცას. სიტყვის თქმა ვერ მოვასწარი, ისე მოხურა ოთახის კარი მისმა მეგობარმა გოგომ. რადგან ხმაური ნაკლებადღა ისმოდა, დაძინება შესაძლებელი იყო.

ცოტა ხანში საშინელი ღრიალის, დარტყმის, ადამიანის დაგდების, ქალის ყვირილისა და ტირილის ხმა ერთად გაისმა და ოთახში სამივე ფეხზე წამოვხტით. ხომ ლოგიკური იყო, რაც ხდებოდა, მაგრამ რამდენიმე წამი დაგვჭირდა იმის გასააზრებლად, სად ვიყავით, რა ხდებოდა და როგორ გამოვსულიყავით შოკისა და გაშეშების მდგომარეობიდან, როგორ დაგვემორჩილებინა აკანკალებული ხელები და რაიმე მოგვემოქმედებინა. ერთმანეთს წამებში რამდენიმე ვარიანტს ვთავაზობდით და არც ერთი არ გვეჩვენებოდა გამოსადეგად:

- გავაღოთ კარი და გავიდეთ? - იქნება იარაღი აქვს?
- პოლიციას უნდა დავუძახოთ! - არც ტელეფონი გვაქვს ოთახში და არც ნომერი ვიცით.აქედან დავიყვიროთ რამე? - იმხელა ხმაზე ყვირის, რას გაიგებს.
- რამე ხომ უნდა ვუშველოთ იმ გოგოს? - ჩვენც არ მიგვაყოლოს ზედ.
- ქუჩაში გადავძახოთ ვინმეს! - კაციშვილი აღარაა ქუჩაში.
- რამე მაგარი და მჭრელი საგნები არ გვაქვს, რომ შევიარაღდეთ? - ჩემოდნებში მხოლოდ არამჭრელი ნივთები გვიწყვია.
- სამი გოგო ვართ ბოლობოლო, ყველას ხომ ვერ მოგვერევა?! - ერთს მაინც რომ დაგვიშავოს რამე, მერე რას ვშვრებით?

მოკლედ, ათასნაირი აზრი მოგდის ამ დროს ადამიანს თავში და ყველა უძლურად გვეჩვენებოდა ძალადობის წინაშე. თავს საშინლად უსუსურად ვგრძნობდით, უცხო ქვეყანაში, ღამით, უცხო სახლში, მოძალადე კაცის გვერდით ოთახში. თანაც ერთმანეთზე აღებული პასუხისმგებლობაც გვაფერხებდა. ამ დროს კი კაცის ყვირილისა და ქალის ტირილის ხმა პერიოდულად ისმოდა. ბინის მეპატრონესთან ვცადეთ დარეკვა ვაიბერით და არ გვპასუხობდა, მივწერეთ და არ ჰქონდა ნანახი, მეილზეც კი მივწერეთ და უკვე სრულ აგონიაში ჩავვარდით. ამ დროს ბინის კარზე ზარი გაისმა. ოთახიდან გასვლას ვერ ვრისკავდით. ცოტა ხანში კართან დაიძახეს, რომ პოლიციაა.

თავქუდმოგლეჯილები გამოვვარდით ოთახიდან და ძლივს მოვარგეთ კარს გასაღები, პოლიცია რომ შემოგვეშვა. პოლიციის ფორმაში გამოწყობილი ორი იტალიელი გაოცებული გვიყურებდა კართან ჩამწკრივებულ სამ გოგოს, რომლებიც ერთი ამოსუნთქვით, ერთდროულად და აკანკალებული ხმით ვუხსნიდით, რომ ცოტა ხნის წინ გვერდით ოთახში ბიჭი გოგოს სცემდა. რომ მივხვდით, ინგლისური არ ესმოდათ, ხელ-ფეხისა და სხეულის ენაზე გადავედით. ჯერ ჩვენ დაგვამშვიდეს და მერე ოთახთან მივიდნენ. დიდხანს აკაკუნეს, ეძახეს, აქედან ჩვენ ვექაქანებით, ვინ ვართ, რა გავიგეთ, ვარიანტებს ვაწვდით, გასაღების ხმა გავიგეთ და იქნება წავიდნენ კიდეცთქო. კიდევ დიდხანს აკაკუნეს კარზე, მერე საკეტის თვალიერება დაიწყეს, თან იტალიურად მიმართავდნენ წყვილს. ალბათ, შემტვრევის შესახებ გააფრთხილეს, რადგან გოგო გამოეხმაურა და კარი გააღო. სანამ ჩვენს ოთახში დავბრუნდებოდით, ჩემმა მეგობარმა პოლიციელს მუდარის თვალებით შეხედა, ეს ბიჭი აქ არ დატოვოთ, წაიყვანეთ, თორემ ყველა საფრთხეში ვიქნებითო.

გვესმოდა, როგორ გაესაუბრა იტალიურად პოლიცია გოგოსაც და ბიჭსაც, როგორ ეხვეწებოდა გოგო, არ წაეყვანათ ბიჭი, როგორ უხსნიდა, რომ ეს პირველი შემთხვევა იყო, ვიღაცამ გააბრაზა და ემოციები ვერ მოთოკა. ბიჭს ხმა არ ამოუღია, გოგო კი გააფთრებით იცავდა, უფრო - სასოწარკვეთით. მიუხედავად იმისა, რომ იტალიური არც ერთს გვესმის, ეს ყველაფერი ნათლად გავიგეთ. როგორც ჩანს, ყველა მსხვერპლი ერთ ენაზე საუბრობს, ისევე, როგორც ყველა მოძალადე.

ცოტა ხანში საუბარი მიწყდა, პოლიციელებმა მოგვიკაკუნეს, მივდივართო. ავყაყანდით სამივე, ამას აქ როგორ გვიტოვებო. ამასობაში ბინის პატრონსაც უნახავს ჩვენი მინაწერი და გამოუგზავნია ვიღაც, რომელიც პოლიციელებსაც გაესაუბრა და ჩვენც დაგვამშვიდა, კიდევ თუ იხმაურებს, გავყრითო. პოლიციამ ნომერი მოგვცა, თან გვანუგეშა, გავაფრთხილეთ და აღარაფერს დააშავებსო, და წავიდა.

2018

ოთახში შეკეტილი სამი სოციალური მუშაკი კი უკვე იმაზე ვბჭობდით, ვინ დარეკა პოლიციაში, ბინის მეპატრონემ თუ მეზობელმა? რატომ არ უნდა შეეძლოს პოლიციას მეტის გაკეთება? თუ მსხვერპლი თავს უსაფრთხოდ გრძნობს და ბინის სხვა მაცხოვრებლები არა, მათი აზრი არაა გასათვალისწინებელი? საქართველოში რას იზამდნენ ნეტავ პოლიციელები? ვაიძულებდით სხვაგვარად მოქცეულივნენ? ჩვენ სწორად მოვიქეცით? ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო, თუ ზედმეტად ფრთხილები ვიყავით? ზედმეტად ხომ არ ვუფრთხილდებოდით საკუთარ თავს?
ხშირად ბევრს ვფიქრობთ მოძალადეებზე, ისევე, როგორც ძალადობის მსხვერპლებზე, თუმცა ნაკლებად ვაქცევთ ყურადღებას ძალადობის მოწმე ადამიანებს, თუკი არასრულწლოვნებზე არ არის საუბარი. ამ გამოცდილებამ კი კიდევ ერთხელ დაგვაფიქრა მესამე მხარეზე, რომელთა როლი ძალადობის აღკვეთაში უდავოა და, ამავდროულად, არანაკლებ მოწყვლადნი ხდებიან, არანაკლებ ტრავმას იღებენ მსგავსი მოვლენებიდან. თუკი ჩვენზე, სოციალურ მუშაკებზე, ადამიანებზე, რომლებსაც ძალადობაზე ალბათ ყველაზე მეტი ინფორმაცია და მჭიდრო შეხება გვაქვს, ასე იმოქმედა ძალადობის ფაქტის მოწმობამ (თუნდაც უცხო ქვეყნის ფაქტორის გათვალისწინებით), წარმომიდგენია, რა შეიძლება დაემართოთ სხვა მოქალაქეებს, რომლებიც მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდებიან. თავისთავად, საკუთარ ქვეყანაში იცი, სად დარეკო და ვის სთხოვო დახმარება, რაც უფრო ამარტივებს სიტუაციას, თუმცა სხვა ბარიერების წინაშე დგები, რომელთა გადალახვაც არანაკლებ სიმამაცეს მოითხოვს და ეს სხვა ბლოგის თემაა.

2018

იმ ღამეს კი ემოციურად დაღლილებს ადვილად დაგვეძინა. დილით ყველაფერი ასე საშიშად აღარ გვეჩვენებოდა. ჩვენი თავიც უფრო მეტად გავკიცხეთ გაუბედაობის თუ ზედმეტი სიფრთხილის გამო. ღამით ადამიანი უფრო უსუსურად გრძნობ თავს და მძაფრად აღიქვამ ყველაფერს, ადვილად გერევა შიშიც, დილით კი უფრო მამაცი ხარ, თავს ძლიერად გრძნობ და ვერ წარმოიდგენ, რომ ახალი დღე საშინელი იქნება, რომ ვინმემ შეიძლება რაიმე დაგიშავოს. ალბათ, ამასვე გრძნობენ ძალადობის მსხვერპლი ქალებიც, რომლებიც ღამით დავსდამტყდარი უბედურების შემდეგ იღვიძებენ მათთვის სანდო, მომღიმარი კაცის გვერდით, უმზადებენ საუზმეს, ერთად მიირთმევენ ყავას და სამზარეულოში შესულ უცხო ტურისტ გოგოს ისე ესალმებიან უმანკო და ღიმილიანი სახით, თითქოს წინა ღამეს ყველას ერთად გაგვეტარებინოს დრო ბანქოს თამაშსა და სახალისო ისტორიების მოყოლაში.

2018

GASW

newsletter #3 ივლისი

შეხვედრა „ ბავშვთა შრომის“ თემაზე

22 მაისს, „საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის“ წარმოამდგენლებმა ირმა ბებერაშვილმა და Mariam Beridzeმ ქ. ბათუმში რეგიონალური შეხვედრა „ ბავშვთა შრომის“ თემაზე გამართეს.
შეხვედრაზე განხილული იყო ბავშვთა არასასურველი შრომის მახასიათებლები და დამსწრეები შეთანმხდნენ ბავშვთა შრომის საერთო განმარტებაზე.

ასევე, განიხილეს ბავშვთა შრომის მახასიათებლები რაიონების მიხედვით და უწყებათა ურთიერთანამშრომლობის მნიშვნელობა აღნიშნულ თემატიკასთან მიმართებაში.
აჭარაში რეგიონალური შეხვედრა „ბავშვთა შრომის“ თემატიკაზე უკვე მეორედ ჩატარდა.
შეხვედრას სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკები, არასამთავრობო ორგანიზაციისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგნლები ესწრებოდნენ.
„საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით აჭარის რეგიონში ახორციელებს პროექტს,

„მუნიციპალიტეტების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისა და ოჯახების მხარდაჭერისთვის აჭარაში“ რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის სოციალური სამუშაო ძალის უნარებისა და ცოდნის განვითარებას, რათა მოახდინონ ბავშვთა ძალადობის შემთხვევებზე და რეგიონში მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერაზე დროული რეაგირება. ასევე, გააძლიეროს თანამშრომლობა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, განსაკუთრებით კი მუნიციპალიტეტის თანამშრომლებსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს (ძირითადად სოციალური მუშაკებისა და მეურვეობა-მზრუნველობის რეგიონულ საბჭოს) თანამშრომლებს შორის.
პროექტის ფარგლებში ხელი შეეწყობა ძლიერი და მდგრადი კავშირის განვითარებას ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შორის (მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, ბაღები და სკოლები, ჯანდაცვის სპეციალისტები, პოლიცია და სხვა შესაბამისი უწყებები) და მათი მგრძნობელობის გაზრდას ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახის მოწყვლადობის საკითხების მიმართ.

ტრენინგი ქედაში

„საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის“ წარმომადგენლებმა ნინი ტაბიძემ და თამარ საუთიევამ ქედაში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, მათი უნარების გაძლიერების მიზნით, ოჯახის მოწყვლადობისა და ბავშთა ძალადობის საკითხებზე ეფექტურად მუშაობისათვის ტრენინგი ჩაატარეს.

ნინი ტაბიძემ და თამარ საუთიევამ ტრენენინგის მიმდინარეობისას ყურადღება გაამახვილეს კომუნიკაციის არსსა და ფორმებზე, კომუნიკაციის პროცესზე, ბარიერებსა და მათი დაძლევის გზებზე, ეფექტური კომუნიკაციის ტექნიკებზე, კონფლიქტზე ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში და მისი დაძლევის გზებზე.

შეგახსნებთ, რომ ასოციაციამ აჭარის რეგიონის 6 მუნიციპალიტეტში (ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური, შუახევი, ქედა, ხულო) უკვე ჩატარებული აქვს სამუშაო შეხვედრები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ოჯახის მოწყვალობის თემატიკაზე.

„საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით აჭარის რეგიონში ახორციელებს პროექტს, „მუნიციპალიტეტების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისა და ოჯახების მხარდაჭერისთვის აჭარაში“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის სოციალური სამუშაო ძალის უნარებისა და ცოდნის განვითარებას, რათა მოახდინონ ბავშვთა ძალადობის შემთხვევებზე და რეგიონში მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერაზე დროული რეაგირება. ასევე გააძლიეროს თანამშრომლობა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, განსაკუთრებით კი მუნიციპალიტეტის თანამშრომლებსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს (ძირითადად სოციალური მუშაკებისა და მეურვეობა-მზრუნველობის რეგიონულ საბჭოს) თანამშრომლებს შორის. პროექტის ფარგლებში ხელი შეეწყობა ძლიერი და მდგრადი კავშირის განვითარებას ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შორის (მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, ბაღები და სკოლები, ჯანდაცვის სპეციალისტები, პოლიცია და სხვა შესაბამისი უწყებები) და მათი მგრძნობელობის გაზრდას ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახის მოწყვლადობის საკითხების მიმართ.

„საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით აჭარის რეგიონში ახორციელებს პროექტს, „მუნიციპალიტეტების გაძლიერება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისა და ოჯახების მხარდაჭერისთვის აჭარაში“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის სოციალური სამუშაო ძალის უნარებისა და ცოდნის განვითარებას, რათა მოახდინონ ბავშვთა ძალადობის შემთხვევებზე და რეგიონში მოწყვლადი ოჯახების მხარდაჭერაზე დროული რეაგირება. ასევე გააძლიეროს თანამშრომლობა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, განსაკუთრებით კი მუნიციპალიტეტის თანამშრომლებსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს (ძირითადად სოციალური მუშაკებისა და მეურვეობა-მზრუნველობის რეგიონულ საბჭოს) თანამშრომლებს შორის. პროექტის ფარგლებში ხელი შეეწყობა ძლიერი და მდგრადი კავშირის განვითარებას ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შორის (მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, ბაღები და სკოლები, ჯანდაცვის სპეციალისტები, პოლიცია და სხვა შესაბამისი უწყებები) და მათი მგრძნობელობის გაზრდას ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახის მოწყვლადობის საკითხების მიმართ.

GASW ლინდსის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო პროგრამაში „სოციალური მუშაობის გამოწვევები ახალ ეპოქაში“

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავჯდომარემ ნინო შატბერაშვილმა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის მიმართულების დოქტორანტმა, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის სოციალურმა მუშაკმა ქეთი გიგინეიშვილმა მონაწილეობა მიიღეს ლინდსის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო პროგრამაში „სოციალური მუშაობის გამოწვევები ახალ ეპოქაში“.

პროგრამაში მონაწილეობდნენ კოლეგები 13 ქვეყნიდან. პროგრამის ფარგლებში კოლეგებმა განიხილეს ისეთი თემები როგორიცაა სუპერვიზიის სტრატეგიები და ინსტრუმენტები სოციალურ მომსახურებებში, სათემო მომსახურებების როლი სკოლაში ძალადობის პრევენციაში, რწმენაზე დაფუძნებული სოციალური მუშაობა, პატიმარი ქალებისა და მათი შვილების უფლებების დაცვა: ამბივალენტობა ბავშვისა და ქალის უფლებებს შორის, სოციალური მუშაობის მეთოდები, რომელთა გამოყენება ზრდის მომსახურების მიწოდების ხარისხს, მომსახურების დაგეგმვასა და განხორციელებას.

ქ-ნი ნინო კოლეგების წინაშე წარდგა თემით „სოციალური მუშაობის განვითარება საქართველოში: გამოწვევები და მიღწევები“, ქ-ნმა ქეთიმ კი მსმენელებს წარუდგინა სოციალური მუშაკის როლი შშმპ-თვის მომსახურებების მიწოდებაში საქართველოში. კოლეგები ეწვივნენ სხვადასხვა სოციალურ მომსახურებებს, გაეცნენ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებზე მუშაობის სპეციფიკას ავსტრიაში.

დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობის გზები როგორც აკადემიური პროგრამების, ასევე სოციალური მუშაობის პრაქტიკის ფარგლებში.

გასვლითი ღონისძიება

სოციალურ მუშაკთა შეკრებები ყოველთვის გამოირჩევა ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებლით: რაგინდ განსხვავებული ადამიანები არ უნდა ვიკრიბებოდეთ, სრულიად ნათელია რაც გვაერთიანებს, ამასთან დაკავშირებით არც კითხვებია და არც ეჭვები. ურთიერთგაზირება ნახევარსიტყვაში სრულდება, ერთმანეთით აღფრთოვანება კი დაუსრულებელი პროცესია. უსმენ კოლეგებს და გიკვირს, საიდან ამხელა თავდადება, ასეთი გულმურვალება საქმისა და ადამიანებისადმი. მე ყოველი ასეთი შეხვედრის შემდეგ ვრწმუნდები რა ძალაა ჩვენს პროფესიაში ე.ი. ჩვენში და რაც უფრო მალე კიდევ უფრო ნათლად გავიაზრებთ ამას, მით უფრო დიდ და კიდევ უფრო ხელშესახებ ცვლილებებს მოვახდენთ ადამიანებისა და ქვეყნისათვის!

ასეთი იყო რაჭის შეხვედრაც, სადაც დასავლეთ საქართველოს კოლეგებთან ერთად ვეწვიეთ ასოციაციის რაჭველ წევრებს, ჩავატარეთ სოციალურ მუშაკთა კლუბის შეხვედრა, რადგან კლუბის შეხვედრებზე თბილისში კოლეგებს დასავლეთიდან უჭირთ შემოერთება. კლუბის შეხვედრაზე ასოციაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ჩვენმა საამაყო კოლეგემ ია შეყრილაძემ ჩაატარა სესია პროფესიულ გადაწყვეტილებაზე, გადაწვის დაძლევის მეთოდებზე. რატომ რაჭა? რაჭა წინა გასვლითი ღონისძიებისას დაწინაურდა არჩევანში მომავალი გასვლისთვის. საოცარი იყო მშვიდი და ულამაზესი რაჭა ჩვენი ქოთქოთის ფონზე ;)

მადლობა კოლეგებო ასეთი სასიამოვნო დღეებისთვის!

უდიდესი მადლობა ყველას სახელით შეხვედრის ორგანიზატორს - ჩვენს გურანდას!

სიყვარულით,
ნინო შატბერაშვილი

GASW

ცვლილებები საზოგადოების საკეთილდღეოდ...

GASW

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
GEORGIAN ASSOCIATION OF SOCIAL WORKERS

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
www.gasw.org
წევრებთან საკონტაქტო:
gasw@gasw.org; gaswmembers@gasw.org